თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2

(საპროექტო მომსახურების კონკურსის გამოცხადების შესახებ)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი **12 დეკემბერი 2013 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ვასილ თოდუა** - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;
2. **ლევან სახოკია** - თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის საკითხებში, კომისიის წევრი;
3. **ილარიონ მელქაძე** - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;
4. **ნუგზარ ტუღუში** - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;
5. **თემურ თოფურია** - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
6. **დოდო ხუხია** - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

1. თვითმმართველ ქალაქ ფოთში, „კოლხი დედი"–ს ძეგლის პედესტალის მშენებლობის, გადატანისა და აღმართვის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ

განიხილეს: თვითმმართველ ქალაქ ფოთში, „კოლხი დედი"–ს ძეგლის პედესტალის მშენებლობის, გადატანისა და აღმართვის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით დადგენილ ვადაში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა -ფიზიკურმა პირმა- ვახტანგ დავითაიამ. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული საკონკურსო დოკუმენტაციის მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსანტს უნდა წარმოედგინა ინფორმაცია 2010-2011-2012-2013 წლების განმავლობაში შესრულებული ანალოგიური (საპროექტო) მომსახურების შესახებ, რომლის შესაბამისად, მომსახურების ღირებულება უნდა შეადგენდეს 50000 ლარს. კონკურსანტმა- ფიზიკურმა პირმა ვახტანგ დავითაიამ, წარმოადგინა **შპს „ვახტანგ დავითაია, არქიტექტურა, მშენებობის"** მიერ შესრულებული ანალოგიური (საპროექტო) მომსახურების შესახებ ინფორმაცია და არა ფიზიკური პირის ვახტანგ დავითაიას მიერ შესრულებული ანალოგიური (საპროექტო) მომსახურების შესახებ ინფორმაცია. ამდენად, წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, არ აკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ დამტკიცებულ საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების, შესაბამისად, დაადგინეს:

1. თვითმმართველ ქალაქ ფოთში, „კოლხი დედი"–ს ძეგლის პედესტალის მშენებლობის, გადატანისა და აღმართვის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადების N 1049) განხორციელდეს კონკურსანტის- ფიზიკური პირის -ვახტანგ დავითაიას დისკვალიფიკაცია.
2. ეთხოვოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, თვითმმართველ ქალაქ ფოთში, „კოლხი დედი"–ს ძეგლის პედესტალის მშენებლობის, გადატანისა და აღმართვის სამუშაოების საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ კონკურსს (საკონკურსო განცხადების N 1049)მიანიჭოს სტატუსი კონკურსი დასრულდა უარყოფითი შედეგით.
3. აღნიშნული ოქმის და თანდართული დოკუმენტაციის სკანირებული ვარიანტი გადაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს .

კომისიის თავმჯდომარე — ვასილ თოდუა

კომისიის წევრები:

ლევან სახოკია

ილარიონ მელქაძე

ნუგზარ ტუღუში

თემურ თოფურია

დოდო ხუხია